

542  
55

24

# ლიტა

„ლიტა“ ტომის მფლობელი  
ოლსინე, ივანე შიშკაძის  
და შურე, ქართველი, სრული  
სამსახური უკავშირდება

№ 1 საპროტექტორო აღმაშენებელი კომიტეტის  
უკრაინი მთავრობისათვის

ინვარი  
1955

542

12





გრიგოლ აბაშიძე

ჩვენ ის გლოვა არ გვინახავს,  
ხალხის ცრემლის ნიაღვარი,  
ათას ცხრასს ოცდამათხის  
ოცდაერთი იანვარი!

ჩვენ ცოცხალი არ გვინახავს  
ბელადის და მამის სახე.  
ჩვენ ლენინის უკვდავება  
ჩვენი ქვეყნის ზრდაში ვნახეთ.

მან დასწერა ჩვენი ქვეყნის  
გამარჯვების თავფურცელი,  
ჩვენს ბედნიერ ბავშვობასაც  
მან შეუქმნა საფუძველი.

ჩვენ ლენინი არ გვინახავს,  
მაგრამ მუდამ გვეგვარება,  
მომავლისკენ გზას გვინათებს  
მისი სიბრძნის ელვარება.





ვლადიმერ ილიას-ძე  
ღმ6060



# ნატაშა დენინთან



(ფილმიდან „დენინი 1918 წელში“)

1918 წელი მძიმე წელი იყო. საბჭოთა რესპუბლიკა საფრთხეში იმყოფებოდა. ყოველი მხრიდან თავს დაესხნენ მტრები, რომელთაც გმირულად ებრძოდა წითელი არმია. ქვეყანას არ ყოფნიდა პური, იარაღი, სათბობი. კომუნისტური პარტიის წინაშე უძნელესი ამოცანა იდგა—მას ასეთ მძიმე მდგომარეობაში უნდა გაემარჯვნა.

გვიანი საღამოა. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავის კაბინეტში მუშაობს, სინჯავს დეპეშებს. და ფრონტიდან მიღებულ ცნობებს.

კაბინეტის კარი ნელა იღება, შემდეგ ჩურჩული მოისმის.

ვლადიმერ ილიას-ძე ყურს უგდებს, კართან მიდის და გარეთ, გუშაგის გვერდით, პატარა გოგონას ხედავს.

ლენინი გოგონასაკენ იხრება და ყურადღებით ათვალთვრებს მას.

— ეს გოგონა ვისია?

— შემოკედლებულია, ვლადიმერ ილიას-ძევ,—პასუხობს გუშაგი.

— ვისი ხარ, გოგონი? — ალერსით ეკითხება ლენინი. —რა გქვია? აბა, მითხარი!

— ნატაშას ეძახიან.—ამბობს გუშაგი.

— ნატაშა? ნატაშა, ჩემთან წამოხვალ სტუმრად?

— წამოვალ.

— წამოხვალ? მაშ წავიდეთ.

ლენინი ხელს ჰკიდებს გოგონას და თავისი კაბინეტისაკენ მიჰყავს. — აი, აქეთ წავიდეთ.

ლენინმა თავის კაბინეტში შეიყვანა გოგონა და სავარძელზე დასვა.

— აქ დაჯექი... აი, ასე... გინდა, მე და შენ ერთად ვიმუშაოთ?

— მინდა.

ლენინი მიდის მაგიდასთან, იღებს ქაღალდის ფურცელს, შეარჩევს ფანქარს.

— ჰოდა ასე, შენ ხატე, მე კი წერას შევეუდგები. კარგი?

— კარგი.

გოგონა სიამოვნებით იღებს ქაღალდსა და ფანქარს.

— ძალიან კარგი...—ამბობს ლენინი.

—კი მაგრამ რას დახატავ?

— სახლს.

— სახლსა? კარგი.

ვლადიმერ ილიას-ძე თვალს ადევნებს ნატაშას ხატვას.

— კარგი, ძალიან კარგი, — ამბობს ლენინი. იგი მაგიდასთან მიდის, ჯდება, ათვალთვრებს ცნობებსა და დეპეშებს.

გოგონა ხატავს. სიჩუმეა. ხმაურობს ფანქარი, შრიალებს ქაღალდი.

ლენინი ხანდახან ჩაახველებს, ქაღალდებზე რალაც ნიშნებს სვამს.

6653



8. ი. ლენინი სტუმრად გავფხვამთან სოკოლნიკში (მოსკოვის ზარბუზიანი) 1919 წელს.

შემოდის მდივანი, მას ფრონტიდან მოსული ცნობების მთელი ღასტა მოაქვს ლენინთან, ვლადიმერ ილიას-ძე ყურადღებით ათვალთვრებს მათ.

— ამხანაგო ბობილიოვ, — ეუბნება ვლადიმერ ილიას-ძე, — მომიზადეთ პირდაპირი ხაზი. ათ საათზე—ჩრდილოეთის ფრონტი, ათსა და ოცდაათ წუთზე,—

ცარიცინი, სტალინთან, და დღესვე, რა დროც არ უნდა იყოს,—ფრუნზესთან.

— კარგი, — ამბობს ბობილიოვი და წიგნაკში ინიშნავს ლენინის დაჯილდებებს.

— ამაღამ საკითხავად მიშოვნეთ რუმინანცევის ბიბლიოთეკიდან აი, ეს წიგნები. — ლენინი მაგიდიდან წიგნების სიას იღებს და ბობილიოვს აძლევს. — გადაეცით, რომ ხვალ დილით დავაბრუნებ.

— კარგი, ვლადიმერ ილიას-ძვე.

ლენინი დგება. ბობილიოვის ყურთან თავს ხრის და დაბალი ხმით უმატებს:

— თანაც გამოძებნეთ საშუალება ამ გოგონას დასაპურებლად.

ბობილიოვი გოგონას უცქერის, თან-ხმობის ნიშნად თავს აქნევს და გადის.

ლენინი განზე ალაგებს ცნობებს, მი-დის სავარძელთან და გოგონას ნახატებს აცქერდება:

— აბა, აბა! ვნახოთ ერთი, რა გამოგვივიდა?

— სახლი. — ამბობს ნატაშა.

— სახლი? ცახე კი ბაყაყები დაცო-ცავენ.

— რა ბაყაყები? — პროტესტს აცხადებს გოგონა, — ეს ხომ ჩიტებია!

— ოჰო, ჩიტები! — ლენინი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდება და გოგონას ნახატს ხელში იღებს. — ჩიტებს ასე რომ არ ხატავენ, პატარავ.

ლენინი ფანქრით ასწორებს ნახატს.

— აი, ასე, — უხატავს ის ჩიტებს. — აი, ასე. ესეც ჩიტები! — თან ერთხელ კიდევ ათვლიერებს გოგონას, ამჩნევს, რომ მას დახეული კაბა აცვია.

— ნატაშა, დედაც კაბა რატომ არ დაგიკრა? — ეკითხება ვლადიმერ ილიას-ძვე.

— მე დედა არა მყავს.

— სად არის? — ფრთხილად ეკითხება ლენინი.

— შიმშილით მოკვდა. — პასუხობს ნატაშა და ხატვას განაგრძობს.

— სახლში სხვა ვინმე არა გყავს?

— არა.

ლენინს ხელში აპყავს ნატაშა. იგი კარგა ხანს გულისტივილით უცქერის

მის გამხდარ სახეს, უმანკო ცისფერ თვალებს. შემდეგ ისევ სავარძელზე სვამს გოგონას, მკვეთრი მოძრაობით პირს იბრუნებს მისგან და ზურგზე ხელებდა-წყობილი ბოლოს ცემს კაბინეტში.

დადის და ფიქრობს იმაზე, თუ რა მიძიმე დროა, თუ რამდენი პატარა ბავშვი იზრდება უდღედაღოდ. ფიქრობს იმაზე, რომ საჭიროა მათთვის დახმარების გაწევა, რათა მათ ჰქონდეთ სახლი, პური და ბავშვური სიხარული.

ვლადიმერ ილიას-ძვე მაგიდასთან მიდის, ტელეფონის მილს იღებს.

იგი ძერჟინსკის ურეკავს. ამხანაგ ძერჟინსკის ძალიან ძნელი და საპასუხისმგებლო სამუშაო აქვს: პარტიამ მას დაავალა ებრძოლოს ქვეყნის შინაურ მტრებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა ადამიანებს ახლებურად ცხოვრებაში.

— ფელიქს ედმუნდის-ძვე, — ეუბნება ლენინი, — თქვენ მანდ დაპატიმრებული გყავთ პურის მსხვილი სპეკულანტები. აუცილებელია მათი დაუყოვნებლივ დახვერტა და მოსახლეობისათვის ამ ამბის შეტყობინება. გამოაცხადეთ, რომ შემდეგშიც დახვერტათ ყოველ სპეკულანტს, როგორც დაუბინებელ მტერს, როგორც შიმშილობის ორგანიზატორს.

ლენინი ძერჟინსკის პასუხს ისმენს. — ასე, გეთაყვათ, — ამბობს ჯერ კიდევ ალელვებული ლენინი. — კიდევ ორი სიტყვა: ყველაფერი უნდა ვიღონოთ ბავშვების გადასარჩენად. როგორ ფიქრობთ, ფელიქს ედმუნდის-ძვე, ხომ არ ვიკისროთ ზრუნვა უპატრონო ბავშვებზე?..

ლენინი ყურს უგდება პასუხს:

— ასე. კარგია... ძალიან კარგია! — ლენინს სახე უბრწყინდება. — ერთი სიტყვით, მე ხედავ, რომ თქვენ გულგრილი არა ხართ ამ ბავშვებისადმი, და ძლიერ მიხარია. ხვალ თქვენთან ერთად დაწვრილებით განვიხილავთ ამ საკითხს. ვლადიმერ ილიას-ძვე დებს ტელეფონის მილაკს და კვლავ აცქერდება სავარძელში მოკალათებულ ნატაშას, რომელიც ძალიან კარგად გრძნობს თავს.

თარგმან რუსულიდან მაყვალა ახალაძემ.

# თოვლი

თოვლი ღამით მოპარულა,  
მიწა გალუთეთობია;  
დილითაც თოვს, ფანტელები  
მთა-ბარს ფრთხილად ედებიან.

შემოდგომის მწვანე ჯგჯილს  
თოვლი საბნად ეხურება;  
გოგის სახლში ვრცელ აივანს  
მოაშურეს ბელურებმა.

გაიღვიძეს პატარებმა,  
თოვლის მოსვლა უხარიათ;  
სახლში მოცდა აღარ უნდათ,  
რა დროს ცეცხლი, ბუხარია!

თბილად ჩაცმულ-ჩაფუთნულებს  
რას დააკლებს სუსხი ბაღლებს;  
თოვლის პაპა გამოჰიმეს,  
გუნდაობა გააჩაღეს.

ყურშას უკვირს: ასე უცბად  
მიწა თეთრად რამ დაფარა;  
თოვლის პაპას უტრიალებს,  
ბრაზობს, უყევს წარამარა.

ფისო თბილ სახლს ვერ შორდება,  
თოვლს ფანჯრიდან გადმოჰყურებს;  
ნერწყვი მოსდის, როცა ხედავს  
აივანზე ცელქ ბელურებს.

თოვს, თოვს, თოვს და ფანტელები,  
პეპლის ფრთების ოდენები,  
მოფრინავენ ჩქარა-ჩქარა,  
ერთმანეთის მოდევნებით.





## პარიჯან პაპანიძე

— მანანა! რაღა ხარ მოწყენილი? — შეეკითხა მორიგე ექიმი ფანჯარასთან ატუხულ გოგონას.

— ...ისე!

— ეზოში რატომ არ გახვალ, შეხედე, რა კარგად ცივაობენ შენი ამხანაგები! — უთხრა ექიმმა, ხელი გადაუსვა თმებზე და მაჯა გაუსინჯა.

— შინ მინდა წასვლა. მითხრეს: ახალი წელი მოდისო! იქ ნაძვის ხე მექნებოდა, პიონერთა სასახლეში თოვლის ბაბუას ვნახავდი. — და მანანას თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— განა ჩვენთან კი არ მოვა ახალი წელი?! აქაც იქნება ახალი წელი.

— ვიდრე ამ მალალ მთებს გადმოვივლის, დაავიანდება... — წამოიღულღულა მანანამ და ტირილს მოუმატა.

— პირიქით, მანანა! შეხედე, რამდენი ნაძვის ხე არის ჩვენი სანატორიუმის ირგვლივ; შენ თვითონ არ ამბობდი, აქ ნამდვილად დათოვლილი ხეებია, ქალაქში კი ნაძვის ხის ტოტებზე ბამბას აწყობენო! ნაძვებიც ხომ აქედან მიაქვთ ქალაქში.

— იქ თოვლის ბაბუა!

— თოვლის ბაბუაც ტყიდან მიდის ქალაქში... აქ ხომ ტყეში ვცხოვრობთ, პირველად ჩვენთან შემოვივლის და მერე ქალაქში წავა.

ბავშვმა უნდობლად შეხედა ექიმს:

— თოვლის ბაბუა მხოლოდ პიონერ-

## ნახატები გ. ჩიჩინაშვილისა

თა სასახლეში დიდის ნაძვის ხეზე, იქ იწვევენ, სხვაგან არ მიდის. ჩვენს ეზოში ყველას ჰქონდა ნაძვის ხე... არაუისთან არ მივიდა! პიონერთა სასახლეში კი ძმამ წამიყვანა და იქ ვნახე.

— აი, ნახე, ვიდრე პიონერთა სასახლეში მიიწვევენ, ჩვენთან მოვა და საჩუქრებსაც

მოგვიტანს. ახლა შეხედე იმ ნაძვს, რა ლამაზია, რა მალალი, ხედავ, როგორ ბრწყინავს მწვანე და თოვლი თეთრი დათვის თათებივით ადევს ტოტებზე.

ამ დროს ჩიტმა ნაძვის ტოტი შეარხია და თოვლი პატარა რუსიკოს თავზე დაეყარა. მანანამ ეს რომ დანახა, გულიანად გაცინა. განცვიფრებულმა რუსიკომ ზევით აიხედა და იმასაც გაცინა.

— შეხედე, რუსიკო რა ყოჩაღად არის! ნამტირაღევი არავის უნახავს, შენც არაინი შეგატყოს ცრემლები, თორემ დაცინებენ.

ზარი დაირეკა. ეზოში მოცივავე ბავშვები მხიარულად ეშკვიდნენ შუშაბანდიან აივანზე, თოვლის იბურტყავდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, მოყინულ თოვლს კალოშებიდან იკლიდნენ.

მომვლელი ქალები ხდიდნენ ბავშვებს პალტოებს, გაყინულ ხელებს უთბობდნენ. ბავშვები შემოეხვივნენ ექიმს და მანანას:

— ავად ხარ, ავად ხარ? — დააყარეს ბავშვებმა კითხვები.



— არა, ძალიან კარგად ვართ. — მანანას ნაცვლად უპასუხა ექიმმა, მერე ხელი მოჰკიდა მანანას და ყველა ერთად გაემართა სასადილოსაკენ. საუზმის შემდეგ ბავშვები ისვენებდნენ, ყველა თავის პალატაში წავიდა დასაძინებლად.

მაგრამ მანანას ძილი არ ეკარებოდა. ვერ მოითმინა, გადახედა გოგონებს და ჩუმად იკითხა:

— გძინავთ?

ორ გოგონას უკვე ეძინა. რუსიკომ თავი წამოჰკყო:

— რა გინდა, მანანა?

— რუსიკო, იცი, რომ ახალ წელიწადს აქ თოვლის ბაბუა მოვა?

— თოვლის ბაბუსას ნატორიუმში რა უნდა? აქ ექიმები მოდინა. — უთხრა რუსიკომ და ისევ გაეხვია საბანში.

— მე კი ვიცი, რომ მოვა...

— იცი და ელოდე! — გაიცინა რუსიკომ და თვალები მაგრად მოხუჭა.

მანანაც გაჩუმდა. ბევრი იტრიალა ლოგინში, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიძინა. როდესაც ბავშვებმა გაიღვიძეს, მანანა მოთენთილი იყო და სულ ამოქანარებდა.

— რა დაგემართა? — გაეცინა რუსიკოს, — თოვლის ბაბუამ ძილი ხომ არ გაგიფრთხო.

მანანას ეწყინა. როგორ, პატარა რუსიკოს დასაცინიც გახდა!

ამ დროს ოთახში სანატორიუმის დირექტორი შემოვიდა და ბავშვებს მხიარულად შესძახა:

— აბა, ჩემო პატარებო, მოემზადეთ, დღეს წვეულება გვაქვს. ჩვენთან სტუმრად მოვლენ დათუნები, ციყვები, კურდღლები და კარგად უნდა დაეუხვდეთ. მანანას თვალები გაუბრწყინდა:

— თოვლის ბაბუაც ხომ იქნება?



— როგორ არა, თოვლის ბაბუაც მოვა!

— რომ არ გჯეროდა? — მივარდა მანანა რუსიკოს, — არც ახლა გჯერა? რუსიკო გაშტერებული შესცქეროდა

ხან მანანას, ხან ღირექტორს. ექთანმა ყველა მწკრივად დააყენა და ჩაიყვანა ქვედა სართულის დიდ დარბაზში. აქ უზარმაზარი, მორთული, ფერადი ბუმტებით ანთებული ნაძვის ხე ელოდა პატარა გოგო-ბიჭებს. ახლა მანანა და რუსიკო ხელჩაკიდებულნი უვლიდნენ ხეს გარშემო და ათვლიერებდნენ ლამაზსამკაულებს. უცბად მგორე ოთახის კარი გაიღო, შემოცვივდნენ ნილაბიანი ბავშვები და დაერივნენ პატარებს. მიხვდნენ, რომ ისინი სანატორიუმელები იყვნენ, მათი უფროსი ამხანაგები — ხმაზე იცნეს და გამხიარულდნენ, რუსიკო და მანანა ყველაზე პატარები იყვნენ და ამიტომ წინ დააყენეს, მერე ფერხული ჩააბეს და სიმღერით უვლიდნენ ნაძვის ხეს. როდესაც ბავშვებმა ცეკვით და თამაშით გული იჯერეს, შემოვიდა თეთრნაბადწამოსხმული, თეთრქუდიანი, გრძელწვერა თოვლის ბაბუა.

— ოჰო! — წამოიძახა მანანამ და ტაში შემოჰკრა.

— მოვდივარ, მომაქვს სიხარული, ბედნიერება და ჯანმრთელობა, მოგილოცავთ ახალ წელს! — ბოხი ხმით ამბობდა ბაბუა. თოვლის ბაბუას ზურგზე

ხურჯინი ეკიდა. შიგ სათუთად შეხვეული საჩუქრები და ხმელი ხილით სავსე პარკები ეწყო.

— აკი სანატორიუმში ბაბუა არ მოდისო? — ნიშნისმოგებით უთხრა მანანამ მეგობარს.

რუსიკომ ხმა არ ამოიღო, მას ეჩქარებოდა ენახა თავისი საჩუქარი და სწრაფად ხედა ფერად პარკს. დასრულდა საჩუქრების დარიგებაც, მანანას ხავერდის პატარა დათუნა აჩუქეს, რუსიკოს — ჯამბაზი, რომელიც ხელებს და ფეხებს ამოძრავებდა, მაგრამ მანანას თავისი დათუნა უფრო მოსწონდა, მას შავი, ძალიან შავი თვალები ჰქონდა. ბაბუა დაემშვიდობა ბავშვებს და წასვლა დააპირა. მანანა გადაეღობა.

— ბაბუა, ახლა აღბათ ქალაქში გეჩქარება, ხომ?

— როგორ თუ ქალაქში? სამზარეულოში, — ვახშამი არ დაგიგვიანოთ, ჩემო კარგებო! — სიცილით უბასუხა ბაბუამ და ნილაბი მოიხსნა. მანანამ შეხედა და იცნო სანატორიუმის მზარეული, მზიარული ძია ნიკო, რომელიც გემრიელ ფუნთუშებს უცხოზდა ბავშვებს.





ნოღარ შაჰანაჰა

ჩემს სოფელში ნაცნობ ჰანას  
რომ შევხვდები სოღმე გ'საზე:  
— გამარჯობა, გამარჯობა! —  
ვეუბნები მუღამ ასე.

ნახატი ზ. ლეჰავასი

მიღიმის და მისაღმების  
ღამთაურების არც კი მაცლის, —  
მეუბნება: — გაგიმარჯოს,  
გაიზარღე დიდი კაცა!



როსომ პლანიძე

## მოხერხებული დათო

ნახატები რ. მუხომერიძისა

ერთ ზაფხულს დათო და მარინე ბე-  
ბიასთან იყვნენ სოფელში ჩასული. ბავ-  
შეებმა ქალაქიდან ჩამოსვლისთანავე შე-  
მოიარეს სოფლის მიდამოები.

იმ ზაფხულს ბაღ-ვენახებში თუ ტყე-  
ში უზომო ხილი იყო: საღ წითლად მო-  
ფენილი მარწყვი ეძახდა პატარა სტუმ-  
რებს თავისაკენ, საღ ლოყაწითელი ვაშ-  
ლები, მსხალი, ატამი, ქლიავი, ქანჭური  
და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი რამ...

ბავშვებს ხილი რომ მოსწყინდათ, ახლა  
ნედლ სიმინდზე წაუფიდათ თვალი. ამ  
სურვილს ის უფრო აძლიერებდა, რომ  
მათ ბებიას სიმინდი არ ედგა, სამაგიერ-  
ოდ მეზობლის ეზოდან ტყესავით აქო-  
ჩრილი ხასხასა მწვანე სიმინდი მაცდუ-  
რად შეჰყურებდა ბავშვებს.

— დათო, შეხედე, რამხელა ცეცხლი  
აგნთო ბუხარში! რა კარგი იქნებოდა,  
რომ ახლა შიგ ნედლი სიმინდის ტაროე-  
ბი იხუხებოდეს, — უთხრა მარინემ ძმას ბე-  
ბიას გასაგონად, რომელიც სამზარეუ-  
ლოში დაფუსფუსებდა სადილის თაღ-  
რიგით გართული.

— ნედლი სიმინდი გინდათ? — მოუბ-

რუნდა ბებია ბავშვებს, — წადით, დეიდა  
კატოს უთხარით და მოგცემთ, იმას კი-  
დეც გაუხარდება თქვენი მისვლა, — გაუ-  
შვირა ხელი მეზობლისაკენ მოხუცმა ბავ-  
შეებს.

ბავშვებსაც ეს უნდოდათ, ისინი მა-  
შინვე კულბაწარასავით მიჰყვნენ ერთი-  
მეორეს. მეზობლის ეზოში რომ შევიდ-  
ნენ და ქოჩორგადმოკიდებულ ტაროებს  
ახლოდან შეხედეს, ნერწყვი მოადგათ.  
დეიდა კატოც იმ დროს იქვე სარეცხს  
რეცხავდა. დათო და მარინე მის შორი-  
ახლო გაჩერდნენ და ჩურჩული მორთეს:

— დათო, მოდი იქიდან შევიდეთ და  
მოვტყეზოთ, ვინ დავგინახავს, — დაეჭიდა  
კალთაზე მარინე ძმას.

— არა, მარინე, ქურდებს დაგვიძახე-  
ბენ და სირცხვილია, — უბასუხა დათომ.

— მაშ თუ ეგრე არ გინდა, მიდი და  
შენ უთხარი დეიდა კატოს.

— არა, მარინე, შენ დიდი ხარ, შენ  
უთხარი.

— არა, შენ უთხარი.

— არა, შენ, — ჩურჩულებდნენ ბავშვე-  
ბი და თან დეიდა კატოსაკენ ეწეოდნენ

ერთიმეორეს და თან  
სიმინდისაკენ იყურებოდ-  
ნენ.

ამ წრიალში და არჩე-  
ვანში მარინეს ერთი რიგი-  
ანად ცხვირი დააცემინა.

— კრელი თხის კული,  
მარინე! — უთხრა სიცილით  
დეიდა კატომ პატარა გო-  
გონას.

— მარინეს თხის კული  
კი არ უნდა, დეიდა კატო,  
სიმინდის კული უნდა! —  
შეაპარა დათომ თავისი გა-  
საქირი ამ ხუმრობაში.

— აჰა! თქვენ იმიტომ  
დაწრიალებთ აქ, რომ ნედ-  
ლი სიმინდი გინდათ?! —  
მიუხვდა დეიდა კატო ბავ-  
შეებს, ერთი კალათა ტა-  
როები გადმოუტანა და  
გახარებული ბავშვები გაი-  
სტუმრა.



თეიმურაზ ჯანაშვილი

ჭირვეული

ყველაფერზე ჩხუბობს,  
ყველაფერზე ტირის,  
— ფეხის თითი მტკიცია, —  
არ დამბანოთ პირი...

ფისოს ეწყინება,  
რომ დამეარცხნო თმები,  
ჰო, რას გეცინება,  
დამიჯერე, ბები.

ნახატი ლ. პენაელიანი და ა. ჩოგოვაძისა

გოგო

ფეხსაცმელი მიკერს,  
ბანტი მომხსენ ჩქარა. —  
ჭირვეული გოგო  
ტირის წარამარა.

ეტყვი რამეს, — ჩხუბობს,  
მართალს ამბობს ვითომ,  
მისი საქციელი  
თქვენ განსაჯეთ თვითონ.



# ხარი და პატრონი

ინდური ზღაპარი



**ე**რთ კაცს ღონიერი ხარი ჰყავდა. კაცი ამყობდა და ყველასთან აქებდა თავის ხარს. ერთხელ ამ კაცმა მთელ სოფელს გამოუცხადა:

— მე სანაძღვოს დავდებ, რომ ჩემი ღონიერი ხარი ას ურემ ტვირთს წაიღებს!

სოფლელებს გაეცინათ და უთხრეს: — კარგი, მოიყვანე შენი ხარი, ჩვენ დატვირთულ ურემს მოვამზადებთ და ვნახავთ როგორ წაიღებს.

პატრონმა მოიყვანა ხარი. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველას უნდოდა ენახა, როგორ შესრულდებოდა სანაძღეო.

ასი ურემი ერთმანეთს მოაბეს და პირველში ხარი შეაბეს.


პატრონი მივიდა ხართან, დაუშინა სახრე და დაუყვირა:

— გასწი, შე სამგლევე, შე ზარმაცო. გასწი ჩქარა, შე არამზადავ.

ხარი გაშეშდა და ადგილიდან არ დაიძრა. ბევრი სცემა პატრონმა, ბევრი ღანძლა, მაგრამ ხარმა ფეხი არ მოიკვალა. წააგო ხარის პატრონმა სანაძღეო. ათასი მანეთი გადაიხადა და შეწუხებული წაჩანჩალდა სახლში, მიწვა ლოგინზე და სიბრაზისაგან ატირდა კიდევ.

რა დაემართა ჩემს ღონიერ ხარს? ბევრად უფრო მეტი ტვირთიც წაუღია და ახლა რად შემარცხვინა ამდენ ხალხში?— ფიქრობდა ის შეწუხებული. ბოლოს ადგა და სამუშაოდ წავიდა. საღამოს შინ რომ დაბრუნდა და ხარს საქმელი დაუყარა, ხარმა ჰკითხა:

— რა დავიშავე. დღეს რომ სახრით მცემე, წინათ ხომ არ მცემდი. რისთვის



გამოანძღე, არამზადა და ზარმაცო, წინათ ხომ არასოდეს ასე არ მეპყრობოდი?

პატრონმა მიუგო:

— ახლა მრცხენია, რომ გცემე და გაგლანძღე, ამას იქით ცულად აღარ მოგეპყრობი, მაპატიე.

— კარგი, — უთხრა ხარმა, — ხვალ წაგყვები სოფელში და წავიღებ ას ურემს, აქამდის შენ ყოველთვის კეთილი პატრონი იყავი და ხვალ მოგაგებინებ სანაძლეოს.


მეორე დილით პატრონმა კარგად გააძღო თავისი ხარი, კისერზე ყვავილების ყელსაბმელი შეება და გაუდგნენ გზას.

როდესაც სოფელში მივიდნენ, ყველა დაცინვით შეხვდა მათ.

— გეტყობა ფული არ გეტევა ჯიბეში, რომ ისევ მოხვედი სანაძლეოს დასადებად, — უთხრეს მას.

— ახლა მე სანაძლეოს ორი ათას მანეთზე ვღებ, თუ ჩემი ხარი ღონიერი არ გამოდგება და ვერ დასძრავს ას ურემს—ორჯერ მეტს გადავიხდი, — მიუგო მათ ხარის პატრონმა.

ისევ მიაბეს ერთმანეთს ასი დატვირთული ურემი და ხარი პირველში შეაბეს.



სწორედ დანიშნულ ადგილას გაჩერდნენ. ხალხმა სიხარულის ყუჩინა დასცა... ასეთი ღონიერი ხარი არსად არ გვინახავსო, — ამბობდა ყველა. ხარი და მისი პატრონი კარგ გუნებაზე გაუდგნენ გზას შინისაკენ.

გამოკეთებული ნინო ნაპაშვილის მიერ.

ნახატები პლ. ბანძუაძისა

ხალხი ისევ შეიკრიბა საყურებლად. პატრონი მივიდა ხართან და უთხრა:

— აბა, შენ იცი, ჩემო კარგო, დაანახვე ყველას შენი ძალა, რომ შენ მართლა ღონიერი და ყოჩაღი ხარ.

ამ სიტყვებით მან ალერსით გადაუსვა ხარს ზურგზე და ფერდებზე ხელი. ხარმა გასწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ურემები სწრაფად დაიძრნენ და





# სამი წყალი



ზამთარი დადგა. თოვად დაიწყო. აიენაზე გამოსული ნონა და გურამი თვალს ადევნებდნენ თოვლის ფიქტებს, რომლებიც ექვსკუთხიან ვარსკვლავებს წაავადდა.

— ნონა, პირიდან რამდენ ორთქლს უშვებ? თითქოს მამა იყო და პაპიროსს აბოლებდე. — გოცებით ჰკითხა გურამმა დას.

— არა, გურამ, ამას შენ რომ ხედავ, ორთქლი არ არის. ეს წყლის წვრილი ნამცეცხბია, პირველი სახე წყლისა. რაც შეეხება მეორე სახეს ორთქლს, რომელიც შენ ახსენე, ის უხილაია.

— მაშ პირიდან რომ ორთქლივით ჩანს, ორთქლი არ არის?

— არა, ეს წყლის ნამცეცხბად ქცეული ორთქლია, ორთქლი უხილაიე ვაზია, მას ვერაფერს ხედავს. აბა, თბილ ოთახში შევიდეთ, მაშინ შენც ვეღარ დინახავ ჩემი პირიდან ამოსულ ორთქლს, რადგან ორთქლი თბილ ოთახში არ გაცივდება და არ იქცევა წყლის ნამცეცხბად.

ბავშვები ოთახში შევიდნენ და მართლაც პირიდან ამოსული ორთქლი უხილაიე ვახდა.

— ნონა, შენ მართალი ყოფილხარ. მაშ ორი წყალი ყოფილა, წყალი და ორთქლი.

— არა, გურამ, სამი წყალია. უფრო სწორად რომ ვთქვათ, წყალი გვხვდება სამგვარ მდგომარეობაში.

— ორი გავიგე, მაგრამ მესამე რაღაა?

— მესამესაც ახლავე გაჩვენებ. აბა, ისევე გარეთ გავიდეთ! — უთხრა ნონამ თავის პატარა ძმას, მოკიდა ხელი, რომ კიბეებზე ფეხი არ დასკურებოდა, — ეზოში გაიყვანა და ყინულის დიდი ნაჭრები და თოვლის ფიქტები დაანახა.

— ესეც მესამე წყალი! ამის შემდეგ იცოდე, წყალი სამ მდგომარეობაში გვხვდება: მყარსა, თხევადსა და გაზობრივში. წყალს შეუძლია



ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. თუ ყინულის ნატეხს სითბოში მოვათავსებთ, ყინული წყლად იქცევა; თუ წყალს გავთბობთ, აორთქლდება.

გურამმა მოზრდილ ყინულის ნატეხს დაავლო ხელი და სახლისაკენ წაიღო. პატარა ქვაბში ჩაადგო, ნავთქურაზე მოათავსა. ყინულმა დნობა იწყო და წყლის ზედაპირზე მოექცა. გურამი საჩვენებელი თითით შეეცადა ყინულის წყალში ჩაძირვას, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. ნონამ ეს რომ შენიშნა, უთხრა:

— გურამ, ტყუილად ცდილობ ყინულის წყალში ჩაძირვას, ეგ წყალზე უფრო მსუბუქია და არ ჩაძირება!

— შენი ჰირიმე, ყველაფერი მითხარი, სამი წყლის შესახებ რაც იცი, — შეხვეწა გურამი დას.

— ადამიანი წყალს სამივე მდგომარეობაში იყენებს, უწყლოდ ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია. თხევად მდგომარეობაში წყალს ადამიანი სვამს, ცხოველებს და ფრინველებს ასმევს. საკმელს ამზადებს, მცენარეებს რწყავს, ნავეით და გემებით წყალზე მოგზაურობს ბო ბანაობს. წყლის ძალას იყენებს წისქვილის ბორბლებისა და ტურბინების ასამაძრავებლად.

მყარ მდგომარეობაში წყალს, ანუ ყინულს იყენებს პროდუქტების შესანახად. ზაფხულში წყლის გასაცივებლად, ან ნაყინის გასაკეთებლად; ჩვენც ხომ გვიყვარს ყინულზე ციგურებით სრიალი.

გაზობრივ მდგომარეობაში წყალს, ანუ ორთქლს ადამიანი იყენებს ორთქლის მანქანებში, ორთქლის ტურბინებში და აგრეთვე სადენიზმექტორად.

გვეყოფა, გურამ, ყველაფერს ვერ ჩამოვივლით, მეტი არ ვიცი. ახლა სახლში შევიდეთ, თორემ შეგცოვა.



# თევზების ცხოვრება ზამთრობით



ანდრო ლომიძე

ნახატი მ. ჟოსნიავილისა

ფრინველები: მწყერი, მტრელი, მერცხალი და სხვები ზამთარში აქ არ რჩებიან. შემოდგომა რომ დაიწყება, ისინი თბილ ქვეყნებისაკენ მიფრინავენ. როგორ ცხოვრობენ თევზები ზამთრობით წყალში?

როცა გაზაფხულდება, შავი ზღვიდან აზოვის ზღვაში დიდი რაოდენობით შედის პატარა თევზი ქამსა. ზაფხულის განმავლობაში ქამსა იქ იკვებება, მრავლდება, ხოლო შემოდგომაზე სტოვებს აზოვის ზღვას და შავი ზღვის თბილ ადგილებს ეტანება. ქამსა სითბოს მოყვარული თევზია, ზამთარში რომ დარჩეს აზოვის ზღვაში, უთუოდ დაიხრება, რადგან აზოვის ზღვა ზამთარში იყინება.

კამჩატკის კიბორჩხალა ზამთარში თავს ინახავს ზღვის სიღრმეში. მაშინ იქ უფრო თბილია წყალი, ვიდრე ნაპირთან. გაზაფხულს რომ იგრძნობს, ნაპირისაკენ მიიწევს, იქ ცხოვრობს და მრავლდება.

ყველა იცნობს ზღვის კატის ძვირფას ბეწვს. ზღვის კატა ზამთარში თბილ წყლებს აფარებს თავს, ხოლო ზაფხულში კომანდორის კუნძულებზეა. კომანდორის კუნძულებზე რომ აცივდება, ზღვის კატები ისევ მიტურავენ იაპონიისაკენ.


თევზი მოგზაურობს საკების საშოვნელად, აგრეთვე მაშინ, როცა უნდა დაჰყაროს ქვირითი. კასიის ზღვის ქაშაყი შედის მდინარე ვოლგაში, გაივლის ათას კილომეტრამდე და იქ ტოვებს ქვირითს. ქაშაყები ერთად მოგზაურობენ ქარავენების სახით. ქარაენი შეიძლება იყოს დიდიც და პატარაც. აფშერონის ნახევარკუნძულთან ნახეს მდინარისაკენ დაძრული ქაშაყის ერთი უშველდელი ქარაენი, რომლის სიგრძე აღწევდა 152 კილომეტრამდე, ხოლო სიგანე 30 კილომეტრს აღემატებოდა.

თევზი „გოჯი“ მხოლოდ იმ მდინარეში ყრის ქვირითს, სადაც დაიბადა.

ორაგული მძლავრად მიაჩნდევს მდინარეს, მოგზაურობის დროს არაფერს ქამს, საშინლად ხდება და ქვირითის დაყრის შემდეგ კვდება. ნაპირზე ამოყრილ ორაგულს ესევა ფრინველი, მგელი, დათვი და ერთი ამბავი აქეთ.

იაპონური და ჩინური კიბორჩხალები მრავლდებიან ზღვაში, მერე აყვებიან მდინარეს და უმთავრესად იქ ცხოვრობენ.

მეტად საინტერესოა გველთევზას ცხოვრება. გველთევზა მდინარეში ცხოვრობს ათ-თხუთმეტ წელიწადს, ზოგჯერ ოცდახუთსაც კი. მერე, როცა მზადაა ქვირითი დაჰყაროს, მდინარიდან ეშვება ოკენეში, გაივლის 8000 კილომეტრამდე, სარგასის ზღვის სიღრმეში ყრის ქვირითს და კვდება. სწორედ იქ არის ჰელავრი დინება წყლისა, რომელსაც გოლფსტრიმი ეწოდება. ეს დინება იტაცებს ახლად გამოჩეკილ გველთევზას და მიაქვს ნაპირისაკენ. გველთევზა იქ შეტურდება მდინარეში და იზრდება.



6653





# მელია და მისი კუდი

ქ. შოთაშვილი

დაითოვლა მთა და ბარი,  
ზამთარია, რა ზამთარი.

მელიკომ რომ თოვლი ნახა,  
ეშმაკობა განიზრახა:

ტყეში, ხისძირს მოკლეკუდამ  
დააგროვა თოვლის გუნდა.

გზის მახლობლად, მუხის იქით,  
მოდის ციყვი მძიმე ტვირთით.

გაისროლა მელამ გუნდა,  
ციყვი თოვლში გადაბრუნდა,

ნახატები ი. შაბაშვილისა

დათუნია მთლად გაბრუვდა,  
გადაბრუნდა, გადმობრუნდა,  
გაიხედა, არვინ არ ჩანს;  
თაფლიც, კასრიც თოვლში დარჩა.

დათეს გაუსკდა შიშით გული,  
ძლივს წამოდგა დაქანცული,  
დაიღალა სირბილითა, —  
მელა კვდება სიცილითა!

კვლავ ჩასაფრდა მელაკუდა,  
დააგროვა თოვლის გუნდა.  
ხედავს, მორბის ვიღაც სწრაფად,  
თოვლიან გზას მარჯვედ ჰკაფავს, —  
შავი ნაბლით, თეთრი ქუდით,  
არც ფეხი ჩანს და არც კუდი!



გაიხედა, არვინ არ ჩანს,  
და კაკალი თოვლში დარჩა.

ციყვს გაუსკდა შიშით გული,  
სულ დაებნა ჭირნახული.

დაიღალა სირბილითა, —  
მელა კვდება სიცილითა!

კვლავ ჩასაფრდა მელაკუდა,  
დააგროვა ბლომად გუნდა.

ხედავს, მოდის ერთი დათვი,  
კასრი მოაქვს დინჯად თათით.

დატრიალდა მელაკუდა,  
დააყარა თოვლის გუნდა,



ვერ ცნობს, ფიქრობს მელაკუდა:  
ეს ვინ არის? აქ რა უნდა?!

არც ტურაა და არც მგელი,  
სად იშოვა ჩასაცმელი? —

დატრიალდა მელაკუდა,  
დააყარა თოვლის გუნდა.

ნაბღინმა ჩაიცინა,  
გუნდა ველარ აიცილა.  
ძირს წაიქცა, გაიგულა,  
ბლომად ხვდება თოვლის გუნდა.

სულ კანკალებს სიცვიითა,—  
მელა კვდება სიცილითა!  
და უეცრად შვე ნაბღინან  
მამლაყინწა ამოფრინდა.  
მელიკო რომ დაინახა,  
ყიყლიყო — დაიძახა!  
გამოერკვა იქვე მღვარი  
და გაფრინდა როგორც ქარი.

ნაბღინთან მიოტბინა.  
შვილმა ასე დაიმგინა:  
— ვაი, მამავ, რა მიქნია...—  
მამამ შვილი დაითრია,  
კულში სტაცა სწრაფად თათი,  
ურტყამს: — ერთი... ხუთი... ათი.



გააღვენეს თვალი მამალს;  
— ვერ ცნობ, შვილო, მშობელ მამას?—  
შემოესმა მელაკულას,  
გადააგლო თოვლის გუნდა,

შვილი ყვირის: — ვაი, მამა...  
მე მოგიყვან ორ ღიღ მამალს,  
მაბატიე ოღონდ ახლა,  
ვერ ავიტან თავის დახლას. —  
მამა მიღის ნაბღით, ქუღით,  
შვილს მიათრევს ღინჯად კუღით,  
მელას სუნთქვა გაუძნელდა,  
კუღიც მეტად დაუგრძელდა.  
ქათმების და გოჭის ქურღი, —  
მიტომ დაღის გრძელი კუღით!



ყდაზე: „სახლი გორაკში, სადა ვ. ი. ლენინმა გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები“. ნახატი ვ. ზელეცკაიასი

რედაქტორი იოსებ ნონშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ქ. გოვაშვალი, მაყვალა შრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგარიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაჟოშვილი  
შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამოსვლის ოცდაპირველი წელი** 1935 წლის 2 მან.

А И Л — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 1, январь, 1935 г. Тбилиси, Ленина 14.  
საბლტვაში. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 3 სათ. ტელ. 38-37-38 გამოშვ. შეჯ. № 504 სტამბის შეჯ. № 1515/2787  
ტირიაჟი 15.000 უე 11-000 ტექსტი ანუბლითა პოლიგრაფიკომბინატ „კომუნისტს“ სტამბაში, ვერნილი დახეულითა ოჯეტის  
სისტემისმანქანაზე „ზარია ეოსტოკას“ სტამბაში.



ბ. 45710

საქართველოს  
განმანათლებლო  
მინისტრო



ნახატი ა. თაყაიზადისა